# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №33

დ. ასპინძა

27 მარტი 2019 წელი

ერთის მხრივ თვითმართველი თემი- ასპინძის მუნიციპალიტეტი წარმოდგენელი მისი მერის, როსტომ მაგრაქველიძის სახით (შემდეგში შემსყიდველი): დაბა ასპინძა მეფე თამარის ქ №3 მეორე მხრივ შ.პ.ს. "ძველი"-ს დირექტორის მანანა ზედგინიძეს სახით (შემდგომში მიმწოდებელი) დაბა ასპინძა ვარძიის ქ. N33. „სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1.1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საჭიროებისათვის 7,56 კვ.მ ვერტიკალური ჟალუზის შესყიდვა. CPV 39515000.

## 2. ხელშეკრულების საგანი და ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ერთეულის ($მ^2$) ღირებულების ფასია --- 35 ლარი, სულ ღირებულება შეადგენს 264 (ორას სამოცდა ოთხი) ლარს და 60 თეთრს.

## 3. სამუშაოების შესრულების ეტაპები და ვადები.

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი 2019 წლის 5 აპრილამდე.

3.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 5 მაისამდე.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი.

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტზე პასუხისმგებელია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებში ნუგზარ შავაძე.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდოდ.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის მიწოდების პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნა.

## 7.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1. თუ მიმწოდებელი მე-3.1. მუხლის მოთხოვნებს არღვევს თავისი მიზეზით, ვალდებულია შემსყიდველს აცნობოს დაუყოვნებლივ და გონივრულ ვადაში.

7.2. მე-8.1 მუხლის შედეგად შემსყიდველის ინტერესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და დაერიცხება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2% - ს;
დ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ვ) მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
8.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

## 9 ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების პროცესში.
9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 10 დავების გადაწყვეტის წესი

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

## 11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულებების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია.
11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესახებ არაუგვიანეს 3 დღისა.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მიღებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

**შემსყიდველი:** თვითმართელი თემი- ასპინძის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის მერი, რ. მაგრაქველიძე

დ. ასპინძა მეფე თამარის ქ.№3

ხელმოწერა .....

ბ.ა.

Manana Zedginidze

Digitally signed by Manana Zedginidze
Date: 2019.03.27 15:28:13 -07'00'

**საბანკო რეკვიზიტები:**
**საინდიფიკაციო კოდი:** 223105155
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი TRESGE22, 220101107
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900

**მიმწოდებელი:** შპს "ძველი"
დირექტორი მ. ზედგინიძე
დ. ასპინძა ვარძიის ქ. 33
**საბანკო რეკვიზიტები:**
**საინდიფიკაციო კოდი:** 223098788
ბანკი- ს/ს „თიბისი ბანკი"
კოდი TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში
GE62TB7875536120100004

ხელმოწერა .....

ბ.ა.

SELF GOVERNING UNIT OF ASPINDZA

Digitally signed by SELF GOVERNING UNIT OF ASPINDZA
Date: 2019.03.27 16:58:01 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დ. ასპინძა

27 მარტი 2019 წელი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის 27 მარტს გაფორმებულ გამარტივებული შესყიდვის N33 ხელშეკრულებაში მიმწოდებელი შპს „ძველი“ არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი: რ. მაგრაქველიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: გ. მურადაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი: გ. ლაზარაშვილი

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებში: ნ. შავაძე.